საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი

10.06.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას" დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა რუხაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ნატო ალავიძე;
თამარ ჩხეიძე;
ნატო გენგიური;
მაია ბიწაძე.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლელა თავდგირიძე - პროფესორი;
ლელა თურმანიძე - ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ერმილე მესხია - რექტორი;
ქეთევან ვაჩეიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია ჭიჭილეიშვილი - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

მარინა გედევანიშვილი - რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი ფიჩხაია - პროგრამის ხელმძღვანელი.

სხდომა დაიწყო 15:20 საათზე, საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არ ყოფნის გამო, სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს ირაკლი მაჩაბელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ირაკლი მაჩაბელმა განაცხადა თვითაცილება შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკითხებთან დაკავშირებით, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო.

გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ პირველ საკითხად გათვალისწინებული იყო სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა, დაწესებულებაში ექსპერტად იმყოფებოდა მაია ბიწაძე, რომელსაც უნდა გაეცნო საბჭოსთვის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები პროგრამის თაობაზე. ექსპერტი მოგვიანებით შეძლებდა სხდომაზე მოსვლას, ამდენად, შესთავაზა საბჭოს ჯერ განეხილათ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხი, ხოლო შემდეგ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის დაკმაყოფილების და დღის წესრიგის ახალი სახით დამტკიცების საკითხი. სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. **სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიზაინის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0803
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტები თამარ ჩხეიძე და ნატო გენგიური მიესალმნენ აკრედიტაციის საბჭოზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნეს მოსაზრებები პროგრამის სრულყოფის თაობაზე. ექსპერტის თქმით, რეკომნდაციები დაწესებულების ოთხივე პროგრამისთვის თითქმის ანალოგიური იყო. ამასთან, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა რეკომენდაცის შედეგად განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, მათ შორის პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება, რადგან პროგრამის აგებულება შესაძლებლობას იძლეოდა სახლწოდება უფრო დაკონკრეტებულიყო. ექსპერტმა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო საბჭოს:

- ვიზიტის დროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოხდა პროგრამის ახალი ვერსიის დამტკიცება. გაიმიჯნა სწავლის შედეგები სპეციალიზაციების მიხედვით (ტექსტილის დიზაინი და მოდის დიზაინი). ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ პროგრამას დაემატა სამაგისტრო ნაშრომის თეორიული ნაწილის შეფასების კრიტერიუმები (იყო მხოლოდ პრაქტიკულ-შემოქმედებითი ნაწილის შეფასების კრიტერიუმები). გასწორდა უზუსტობები ზოგიერთ სილაბუსში (მაგ. სილაბუსში კურსისა „ ქსოვილის კომპოზიცია და ტექსტილით დეკორირება“ ტესტში რამდენიმე ადგილას „მაგისტრანტის“ ნაცვლად „მაგისტრი“ იყო მითითებული, რაც გასწორდა). მაგრამ ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება ვერ მოხერხდა დროის სიმცირის გამო და ზოგიერთი უზუსტობა მაინც დარჩა. მაგ. სილაბუსში აღრეულია სწავლების მეთოდები და ფორმები („ლექციაზე დასწრება“). რეკომენდირებულია მათი ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა და სილაბუსების დახვეწის მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.
- პროგრამაში მოცემულია შემოქმედებით-პრაქტიკული კურსებისა და თეორიული კურსების კარგი ბალანსი. პროგრამა ითვალისწინებს ისეთი სამაგისტრო ნაშრომის შექმნას, რომელიც აერთიანებს შემოქმედებით პროექტსა და თეორიულ-კვლევით ნაწილს. ზოგიერთმა სტუდენტმა, ინტერვიუს დროს, გამოთქვა სურვილი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის ეტაპამდე, იყოს თეორიული სასწავლო კურსი, რომელიც ამუშავებს მათ კვლევითი ნაშრომის შექმნის სპეციფიკზე და კვლევის უნარს გავუვითარებს. ამდენად, რეკომენდირებულია არჩევითი საგნების ბლოკში შეთავაზებულ იქნას შესაბამისი კურსი, მაგალითად, „კვლევის თანამედროვე მეთოდები“, ანდა შეთავაზებულ იქნას ამავე უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობისთვის განკუთვნილი ძირითადი კურსი „ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი და კვლევის მეთოდები“საშემსრულებლო-შემოქმედებითი პროგრამის სტუდენტებისთვის არჩევით კურასდ.
- რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის გააქტიურება. თუმცა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს უკვე ჩატარებული აქვს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით: ბათუმის უნივერსიტიტსა და უცხოეთის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებულია ურთუერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ტარდება საერთაშორისო კონფერენციები. მათში მონაწილეობას იღებენ უცხოელი მეცნიერები. ეს აქტივობები ხელს უწყობს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას. თუმცა, რეკომენდირებულია, მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთობის ყველა ფორმის ამუშავება და პრაქტიკული განხორციელება.

- გამოკითხულთა გულწრფელობის ხარისხის გასაზრდელად და რეალობასთან მიახლოებული ინფორმაციის მისაღებად, მიზანშეწონილია პროფესორის თვითშეფასების კითხვარი იყოს ანონიმური.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია თითქმის გასწორდა ექსპერტთა ვიზიტის მიმდინარეობისას, ხოლო რაც ვერ მოესწრო, უახლოეს მომავალში გათვალისწინებული იქნებოდა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაგისტრანტები ყველა სემესტრის ბოლოს აკეთებდნენ პროექტს, რაც საბოლოოდ, აძლევდათ მათ გამოცდილებას და ხელს უწყობდათ საბოლოოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობაში, თუმცა მისი თქმით, აპირებდნენ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებას. მისი თქმით ინტერნაციონალიზაციის საკითხსაც აუცილებლად მიხედავდნენ.

ნანა გაფრინდაშვილმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ აკადემიური პერსონალის შეფასების კითხვარი უნდა ყოფილიყო ანინიმური. ასევე დაინტერესდა, როგორ ამუშავებდნენ კითხვარებს და როგორ ითვალისწინებდნენ მიღებულ ინფორმაციას.

ქეთევან ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ ჯგუფში კითხვარი არ შეჰქონდა პედაგოგს, არამედ სხვა მათთვის უცხო პირს, მეტი ობიექტურობისათვის. რაც შეეხებოდა აკადემიური პერსონალის კითხვარებს, მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მათ ანკეტებზე მითითებული ჰქონდათ ვინაობა, მაინც საკმაოდ ობიექტური პასუხები დააფიქსირეს.

უნივერსიტეტის რექტორმა განმარტა გამოკითხვის შედეგების დამუშავების თემა, რომ გამოკითხვის შემდეგ ხდებოდა მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შემუშავდებოდა რეკომენდაციები და ამის მიხედვით ხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილებები. ყოფილა შემთხვევა, გამოკითხვის შედეგების საფუძველზე პროგრამის გაუქმებისა და პროფესორ-მასწავლებლებთან თანამშრომლობის შეწყვეტისა.

ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ყველაფრის გათვალისწინება და შესწორებების შეტანა უნივერსიტეტის მხრიდან ვერ მოხედრხდა, თუმცა, რაც დარჩა, იყო მხოლოდ სასურველი ხასიათის რეკომენდაციები, რაც კიდევ უკეთესს გახდიდა პროგრამას.

ზაზა რუხაძე დაინტერესდა, რატომ იყო უნივერსიტეტი დარწმუნებული, რომ სტუდენტები დამოკითხვების დროს იყვნენ ობიექტურები.

ქეთევან ვაჩეიშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მცირემასშტაბებიდან გამომდინარე, არაფერი არ იყო დაფარული და ადმინისტრაცია ყოველთვის ინფორმირებული იყო თანამშრომლების შესახებ.

ზაზა მარუაშვილმა ურჩია უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რომ გამოკითხვის წარმოება აჯობებდა ჩაეტარებინათ ელექტრონულად. ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხებოდა სამაგისტრო პროგრამას, სტუდენტებისთვის შეთავაზებული უნდა ყოფილიყო კვლევა, რაც ამ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული.

ქეთევან ვაჩეიშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ძირითადად, საქმდებოდნენ რეგიონის სკოლებში არსებულ სახელოვნებო წრეების მასწავლებლებად.

მაია ჩიხლაძემ ურჩია უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, გაეზარდათ უცხო ენისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა, რადგან თავადაც თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული საკითხი პროგრამის სუსტ მხარედ ჰქონდათ დაფიქსირებული.

ქეთევან ვაჩეიშვილმა განმარტა, რომ სწორედ აღნიშნული მიზეზით ჰქონდათ პროგრამის არჩევითი კურსების ჩამონათვალში ინგლისური ენა გათვალისწინებული და დაინტერესებულ სტუდენტებს შეეძლოთ მისი არჩევა.

2. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამუსიკო შემსრულებლობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0805
კრედიტების რაოდენობა	120

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა თამარ ჩხეიძემ და ნატო გენგიურმა. ექსპერტის თქმით, რეკომენდაციები, რომელიც შემუშავებული იყო წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით, ანალოგიური იყო უკვე განხილული პროგრამის რეკომენდაციებისა, ხოლო ხარვეზები ყველა პროგრამის შემთხვევაში, განსხვავებული იყო. მაგალითად, 10 და 5 კერდიტიან საგნებთან დაკავშირებით, ვიზიტის მიმდინარეობისას მოხდა კრედიტების გადათვლა და რაციონალური გადანაწილება. ვიზიტის მიმდინარეობისას პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ დარჩა მხოლოდ რეკომენდაციები. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ვიზიტის დროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოხდა პროგრამის ახალი ვერსიის დამტკიცება. პროგრამაში შესული ცვლილებების შესაბამისად, ჩასწორდა სასწავლო კურსების სილაბუსებიც, მაგრამ ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება ვერ მოხერხდა დროის სიმცირის გამო და ზოგიერთი უზუსტობა მაინც სახეზეა. ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში აღრეულია სწავლების მეთოდები და ფორმები. რეკომენდირებულია, მათი ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა. ასევე, შინაარსობრივი და ტექნიკური დახვეწა ესჭიროება ზოგიერთ სილაბუსს. გასათვალისწინებელია, რომ საშემსრულებლო-შემოქმედებითი უნარების განმავითარებელ კომპონენტებში ძნელია მოხდეს კურსის შინაარსის სტრუქტურირება, რადგან სასწავლო კურსის მიმდინარეობა სტუდენტის ინდივიდუალურ მონაცემებზეა დამოკიდებული. თუმცა, აუცილებელია, სილაბუსს თან ახლდეს სავარაუდო რეპერტუარის ჩამონათვალი (საორკესტრო სპეციალობის კლასში), სემესტრული მოთხოვნები - (საკვარტეტო კლასში), აუდიო და საილუსტრაციო მასალის ჩამონათვალი (თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია).
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და უცხოეთის სამუსიკო აკადემიებსა და კონსერვატორიას შორის გაფორმებულია ურთუერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ტრადიციულად, ტარდება საერთაშორისო ფესტივალები „XXI საუკუნის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი", „ფოლკლორისა და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი"), სადაც მონაწილეობას იღებენ უცხოელი მუსიკოსები და მეცნიერები. ეს აქტივობები ხელს უწყობს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრაციას. თუმცა, რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა, საშუალებასაც მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთთანამშრომლობის ფორმები ქმნის. რეკომენდირებულია, მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთობის ყველა ფორმის ამუშავება და პრაქტიკული განხორციელება.
- სასურველია, პროგრამას ახლდეს კომპეტენციების მატრიცა, რათა დაინტერესებული პირისათვის უფრო მკაფიო გახდეს რომელი სასწავლო კურსი რა კომპეტენციების განვითარებას ემსახურება.
- გამოკითხულთა გულწრფელობის ხარისხის გასაზრდელად და რეალობასთან მიახლოებული ინფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია, პროფესორის თვითშეფასების კითხვარი იყოს ანონიმური.

ზაზა მარუაშვილმა მიმართა ექსპერტებს, პრაქტიკული პედაგოგიკა და სამუსიკო პედაგოგიკა, ორივე, რამდენად იყო საჭირო და მობილობის დროს პრობლემა ხომ არ შეექმნებოდათ სტუდენტებს,

რამდენად მიზანშეწონილი იყო სამაგისტრო პროგრამაზე 5 კრედიტის მოცულობის საგნებად მათი შეთავაზება.

თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ რეგიონის ინტერესების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ გამართლებული იყო აღნიშნული კურსების სწავლება. მობილობის დროს პრობლემა არ შეექმნებოდათ სტუდენტებს, რადგან ისინი ისევ იმავე პროფილზე აგრძელებდნენ სწავლას კონსერვატორიაში, სადაც თითქმის ანალოგიური პროგრამა იყო. ამ მხრივ, სხვა ფაკულტეტზე წარმოდგენილი პროგრამის კრედიტები მაინც ვერ იქნებოდა აღიარებული და აქედან გამომდინარე, მათთვის ეს დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. კურსების კრედიტ-მოცულობასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიურობიდან გამომდიანრე, აბსოლუტურად მიზანშეწონილი იყო.

თავმჯდომარე დაინტერესდა, პროგრამის მიზანი თუ იყო საკონცერტო შემსრულებლის ჩამოყალიბება, პიანისტად რამდენად ჩამოყალიბდებოდა სტუდენტი, რომელიც დღეში მხოლო 20 წუთის განმავლობაში იმუშავებდა ინსტრუმენტთან.

თამარ ჩხეიძემ განმარტა, რომ სწორედ ეს იყო ექსპერტების შენიშვნა, რაც ვიზიტის დროს გასწორდა, 5 კრედიტის ნაცვლად, შესაბამისი კომპონენტი წარმოდგენილი იქნა 10 კრედიტის მოცულობით. ამას ემატებოდა დარგის საგნები, რომელიც მოიცავდა ინსტრუმენტთან მუშაობას და უკვე საკმარისი დრო ექნებოდათ სტუდენტებს დამოუკიდებლად მუშაობისათვის.

ირაკლი მაჩაბელი არ დაეთანხმა ექსპერტს და აღნიშნა, რომ მაინც ძალიან ცოტა იყო 10 კრედიტი და 20 კრედიტზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

გიორგი ცხვედიანი გამოვიდა წინადადებით, თუ რამე შეიცვლებოდა პროგრამაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, შეტანილი ცვლილებები დასკვნაში ასახულიყო და CD დისკით თან დართვოდა დასკვნას.

3. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამუსიკო ხელოვნება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მუსიკოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	100704
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ გააცნო საბჭოს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში ექსპერტთა ვიზიტის დროს შევიდა გარკვეული ცვლილებები და ასევე შესწორდა კვალიფიკაცია. რეალურად პროგრამა იძლეოდა სხვა კავლიფიკაციაზე გასვლის შესაძლებლობას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა შენიშვნა სწავლის შედეგების გამიჯვნასთან დაკავშირებით.

- ვიზიტის დროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოხდა პროგრამის ახალი ვერსიის დამტკიცება. შესწორდა კვალიფიკაციის დასახელება. გაიმიჯნა სწავლის შედეგები სპეციალიზაციების მიხედვით. კრედიტები სხვაგვარად გადანაწილდა კომპონენტებს შორის. პროგრამაში შესული ცვლილებების შესაბამისად, ჩასწორდა სასწავლო კურსების სილაბუსებიც. მაგრამ ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება ვერ მოხერხდა დროის სიმცირის გამო და ზოგიერთი უზუსტობა მაინც სახეზეა. მაგ.: სილაბუსში აღრეულია სწავლების მეთოდები და ფორმები. რეკომენდირებულია მათი ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა და სილაბუსების დახვეწის მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და უცხოეთის სამუსიკო აკადემიებსა და კონსერვატორიას შორის გაფორმებულია ურთუერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ტრადიციულად ტარდება საერთაშორისო ფესტივალები „XXI საუკუნის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი", „ფოლკლორისა და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი"), სადაც მონაწილეობას იღებენ უცხოელი მუსიკოსები და მეცნიერები. ეს აქტივობები ხელს უწყობს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრაციას. თუმცა, რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა, საშუალებასაც მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთთანამშრომლობის ფორმები ქმნის. რეკომენდირებულია, მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთობის ყველა ფორმის ამუშავება და პრაქტიკული განხორციელება.
- საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის გაადვილების, ენობრივი ბარიერის დაძლევის მიზნით, სასურველია სტუდენტებს შეეთავაზოთ უცხო ენის არჩევითი კურსი.
- სასურველია, პროგრამას ახლლდეს კომპეტენციების მატრიცა, რათა დაინტერესებული პირისათვის უფრო მკაფიო გახდეს რომელი სასწავლო კურსი რა კომპეტენციების განვითარებას ემსახურება.
- გამოკითხულთა გულწრფელობის ხარისხის გასაზრდელად და რეალობასთან მიახლოებული ინფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია პროფესორის თვითშეფასების კითხვარი იყოს ანონიმური.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნები რაც ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ვიზიტის დროს, გასწორებულ იქნა და რეკომენდაციებს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

ზაზა მარუაშვილმა ექსპერტს სთხოვა დაზუსტება, რა კვალიფიკაციას ანიჭებდნენ თავდაპირველად და რითი შეიცვალა. როგორ შეიცვალა ასე მოკლე დროში მთლიანი პროგრამა.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის დასახელება იყო „სამუსიკო ხელოვნება", გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არასწორად იყო დასახელება შერჩეული და შეიცვალა არა პროგრამა, არამედ მხოლოდ კვალიფიკაციის დასახელება.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა ამის შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელი იგივე დარჩა თუ შეიცვალა და ექსპერტს მიმართა, რომ ამ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო ასეთი ცვლილება, არამედ უნდა დაწერილიყო უარყოფითი დასკვნა.

ექსპერტმა აღნიშნა რომ ჯგუფში წარმოდგენილი იყო ცენტრის თანამშრომელიც, რომელსაც შესაბამისი მითითება არ მიუცია.

გიორგი ცხვედიანმა გააკეთა განმარტება, რომ ზოგადად, უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას, ცენტრის თამამშრომელი ტექნიკურად უზრუნველყოფს ვიზიტის განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულებას შორის უნდა წარმოებდეს დიალოგი, თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს ახალი პროგრამის შექმნას, თითოეული საკითხი ინდივიდუალურად უნდა წყდებოდეს. მისი თქმით, ყველაფრის გადაკეთება არ უნდა მომხდარიყო ადგილზე, თუმცა თავად კარგად არ იცნობდა აღნიშნულ სიტუაციას და დადასტურებით ვერაფერს იტყოდა.

ექსპერტმა კვლავ განმარტა, რომ პროგრამის შეცვლა/შესწორება არ მომხდარა, მხოლოდ მოხდა სახელწოდების დაზუსტება. ეს იყო მხოლოდ ტექნიკური შეცდომა. როდესაც სასწავლო კურსების ერთობლიობა შესაბამისობაში იყო სწავლის შედეგებთან, გააზრებული იყო ძალიან კარგად. იქედან გამომდინარე, რომ თავად მუსიკოლოგი იყო, ადვილი იყო პროგრამის შეფასება, თუმცა მიიჩნია, რომ ეს იყო ტექნიკური უზუსტობა. ამასთან, პროგრამის არსებობას რეგიონისთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

4. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1007
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტმა ნატო გენგიურმა გააცნო საბჭოს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მსგავსი იყო უკვე განხილული პროგრამის რეკომენდაციებისა:

- ვიზიტის დროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე აკადემიური საბჭოს სხდომაზე მოხდა პროგრამის ახალი ვერსიის დამტკიცება. კერძოდ, შესწორდა კვალიფიკაციის დასახელება, გამოსწორდა გაპარული უზუსტობები. აკრედიტაციისთვის წარდგენილ პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრული იყო, როგორც „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი", თუმცა სამაგისტრო საფეხური კვალიფიკაციის მეტი დაკონკრეტების საშუალებას იძლევოდა. პროგრამის შინაარსის უფრო კონკრეტულად ასახვის მიზნით, შეთავაზებულ იქნა კვალიფიკაციად „ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი", რაც გაიზიარა ბათუმის უნივერსიტეტის მხრიდან და შესაბამისი პროცედურების გავლით დამტკიცდა ცვლილებები (აკად. საბჭო 2014. 05. 30.). თუმცა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება ვერ მოხერხდა დროის სიმცირის გამო და ზოგიერთი უზუსტობა მაინც სახეზეა. მაგ. ზოგიერთ სილაბუსში გადასახედია რამდენად შეესაბამება ძირითადი ლიტერატურის მოცულობა სტუდენტის დატვირთვას (კურსი „ხელოვნების ფილოსოფია" 5კრ., ვფიქრობთ, სავალდებულო ლიტერატურის მოცულობა დიდია დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი 95 საათისთვის) რეკომენდირებულია სილაბუსის კიდევ ერთხელ გადახედვა, კრედიტებთან შესაბამისობით სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის განსაზღვრა, ან მითითებულ ლიტერატურაში სავალდებულოდ დასამუშავებელი მასალის დაკონკრეტება, რასაც სხვა სილაბუსებში კარგადაა გაკეთებული (მაგ. სილაბუსი „უძველესი და ანტიკური ეპოქის ხელოვნების ძეგლები საქართველოში"). საჭიროა, ასევე, სილაბუსებში მექანიკურად დაშვებული უზუსტობების გამოსწორების მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.
- რეკომენდირებულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის გააქტიურება. თუმცა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს უკვე ჩატარებული აქვს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით: ბათუმის უნივერსიტიტსა და უცხოეთის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებულია ურთუერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ტარდება საერთაშორისო კონფერენციები. მათში მონაწილეობას იღებენ უცხოელი მეცნიერები. ეს აქტივობები ხელს უწყობს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას. თუმცა, რეკომენდირებულია, მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთობის ყველა ფორმის ამუშავება და პრაქტიკული განხორციელება.
- სასურველია, პროგრამას ახლდეს კომპეტენციების მატრიცა, რათა დაინტერესებული პირისათვის უფრო მკაფიო გახდეს რომელი სასწავლო კურსი რა კომპეტენციების განვითარებას ემსახურება.
- გამოკითხულთა გულწრფელობის ხარისხის გასაზრდელად და რეალობასთან მიახლოებული ინფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია პროფესორის თვითშეფასების კითხვარი იყოს ანონიმური.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ მაგისტრატურაზე ლიტერატურაში გვერდების მითითება არ იყო საჭირო.

ერმილე მესხიას თქმით, არც საბაკალავრო საფეხურზე იყო გვერდების მითითება საჭირო.

ნანა გაფრინდაშვილმა მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს, რომ სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყო დისერტაცია, სად შეეძლო მისი ნახვა სტუდენტს, იყო თუ არა აღნიშნული დისტერტაცია ბიბლიოთეკაში.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ არაადექვატური ტერმინები იყო რეიტინგული შეფასება 1 და რეიტინგული შეფასება 2, ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, ჩანეაცვლებინა იგი შუალედური გამოცდის ტერმინით. ასევე, მეოცე საუკუნის ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების სასწავლო კურსთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭირო და აუცილებელიც იყო აღნიშნული საგანი, თუმცა, კურსი ითალისწინებდა სოციალისტური ლიტერატურის სწავლებას, რომლის გარეშეც მეოცე საუკუნის ლიტერატურა ვერ იქნებოდა გააზრებული მთიანად მსოფლიოში. 2010 წელს გამოცემული იყო ორტომეული, რომელიც შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ პროგრამაში. ნანა გაფრინდაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყო ძველი ქართული მწერლობის შემსწავლელი კურსი, არჩევით საგნად, თუმცა, თემები მოიცავდა მხოლოდ ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის საკითხებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რეიტინგულ შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს უზუსტობა მოწვეული სპეციალისტის სილაბუსში იყო და ამიტომ გაიპარა. აღნიშნულ სილაბუსებზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და საბოლოო სახე უფრო დახვეწილი იქნებოდა. ხარისხის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში. წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებდნენ.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ არ ექნებოდა შენიშვნები იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტმა მოახდინა კვალიფიკაციის დაზუსტება და მისი აზრით სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კვლევის ელემენტებსა და პრაქტიკის ელემენტებზე, ისევე როგორც წინა სამ პროგრამაში, იმედი გამოთქვა, რომ უნივერსიტეტი გაითვალისწინებდა.

17:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 18:20 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დიზაინის (ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო შემსრულებლობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-1);
- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამუსიკო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0); დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა შემდეგი საკითხები:

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ამაღლება, უცხოენოვანი საგნების სავალდებულო სახით შემოტანა;
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კანონმდებლობასთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
- დასაქმების მოტივაციის ელემენტის პროგრამაში შემოტანა;
- საერთაშორისო დოკუმენტაციის შესწავლის გაუმჯობესება.

5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	უმაღლესი განათლების მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	020306
კრედიტების რაოდენობა	120

თავმჯდომარემ მოსთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მინდობილობის წარმოდგენა. წარმომადგენლებმა, ლელა თურმანიძემ და ლელა თავდგირიძემ წარუდგინეს მინდობილობა საბჭოს.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერეტმა, ლელა თურმანიძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მიზანშეწონილია, პროგრამის შემადგენელი კურსები მეტად იყოს მიმართული უმაღლესი განათლების მენეჯმენტზე, რადგან პროგრამის მიზნები სწორედ ამაზეა ორიენტირებული. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, პროგრამის კურსების სილაბუსებს (განსაკუთრებით სავალდებულო მოდულში მოცემულ კურსებს) დაემატოს უმაღლესი განათლების სფეროში მოცემული საგნების სპეციფიკური თემატიკა. მაგალითად, კურსებში: ლიდერობის ხელოვნება, ორგანიზაციული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსური მენეჯმენტი, უმაღლესი განათლების პოლიტიკა (ან მისი ცალკეული თემები გათვალისწინებულ იქნეს არსებულ სასწავლო კურსებში) ასევე, არჩევით საგნებშიც, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უფრო სასარგებლო იქნება კურსების შინაარსობრივი თემატიკის მეტად დაახლოება უმაღლესი განათლების სფეროში სტუდენტებისათვის გამოსადეგი ასპექტებთან. მაგ. განვითარებისა და სწავლის თეორიებში აქცენტი იყოს სტუდენტური ასაკის თავისებურებებზე, ზრდასრულთა სწავლების საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით, საჭირო იქნება შესაბამისი ლიტერატურის დამატებაც კურსების ბიბლიოგრაფიაში. მაგალითად, კურსში „კულტურულ მრავალფეროვნებათა ჰარმონიზაცია უმაღლეს დაწესებულებებში" სასწავლო მასალა ძირითადად სასკოლო დონეს ეხება;
- რეკომენდაციის სახით, სასურველია, პროგრამის კურსებში გამოყენებული სწავლების მეთოდები პირდაპირ თანხვედრაში იყოს სწორედ იმ კონკრეტული კურსის ფარგლებში გამოყენებულ შეფასების კრიტერიუმებთან. მაგალითად, თუ კურსის სასწავლო მეთოდში ნახსენებია პროექტი, მაშინ პროექტის შეფასება ანგარიშის ან პროექტის შედეგების პრეზენტაციის სახით უნდა ჩანდეს კიდეც შეფასების კრიტერიუმებში;
- აღსანიშნავია, რომ კვლევის უნარ-ჩვევები პროგრამის სწავლის შედეგებში ერთ-ერთი მთავარია (იხილეთ სწავლის შედეგი #9 „შეუძლია უმაღლესი განათლების სივრცეში არსებული პრობლემების, გამოწვევების შესახებ ორიგინალური კვლევის წარმოება, გადაჭრის გზების დასახვა და წარდგენა"). ამის გამო, მიზანშეწონილია სასწავლო პროგრამის ფარგლებში კვლევა ისწავლებოდეს უფრო მეტი მოცულობით. ამჟამად მხოლოდ ერთი საგნით (კვლევის მეთოდები განათლებაში) ხდება კვლევის წარმოების საკითხების შესწავლა, რაც კვლევის მხოლოდ საბაზო საკითხებზე კონცენტრირების შესაძლებლობას იძლევა ერთი კურსის ფარგლებში და რეალურად შესავალია კვლევის მეთოდებში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომიც ემსახურება კვლევის სწავლების მიზანს. კვლევის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, სასურველია არჩევითი კურსების ჩამონათვალში სტუდენტებისასთვის შეთავაზებული იყოს ისეთი კურსები როგორებიცაა მაგალითად: კვლევა რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, კვლევა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, სტატისტიკა ა.შ. კვლევის კომპონენტის გაძლიერება ასევე შესაძლებელი იქნება ცალკეულ კურსებში მინი კვლევების დავალებების მიცემით, რაც როგორც პროფესორებთან გასაუბრებით გაირკვა, არის კიდეც ზოგიერთ კურსში გათვალისწინებული, თუმცა შეფასების საერთო საუნივერსიტეტო ფორმატის გამო სილაბუსებში ნათლად არ იკვეთება;

- პროგრამაზე მიღების პირობებში არ არის მითითებული რომ აბიტურიენტს მოეთხოვება უცხო ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება, რაც როგორც გასაუბრებისას გამირკვა, საუნივერსიტეტო წესია და ამ შემთხვევაში პროგრამის აღწერილობაში ჩაწერა აღარ ჩაითვალა საჭიროდ, რადგან იგულისხმებოდა რომ საუნივერსიტეტო წესი მაინც მოითხოვს უცხო ენაში გამოცდის ჩაბარებას. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აბიტურიენტთა სწორი ინფორმირების მიზნით საჭიროა ამ ინფორმაციის ჩამატება პროგრამის მიღების პირობებში;

- ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სპეციალობაში მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდის საკითხების ჩამონათვალს (სამუშაო ვერსიას) და რეკომენდაცია მისცა, მოხდეს პროგრამაზე სპეციალობაში საგამოცდო საკითხების გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიზნებთან;

კერძოდ, ზოგადი ისტორიის, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხების ნაცვლად შემოწმდეს აბიტურიენტთა გათვითცნობიერება და საბაზისო ცოდნა, განათლების და/ან მენეჯმენტის თემატიკის მიმართულებით. ამით უფრო გაადვილდება პროგრამაზე შესაბამისი კანდიდატების შერჩევა;
-უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლების ენად მითითებულია „ქართული/ინგლისური". ეს გარკვეულ პრობლემას ქმნის, რადგან პროგრამა შედგენილია ისე, რომ იგი ხორციელდება ქართულად: ყველა კურსი იკითხება ქართულ ენაზე, და ამავე დროს, სასწავლო მასალებშიც სავალდებულო ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ქართულ ენაზეა. ასევე, ვიზიტის დროს გაირკვა, რომ თუ სურვილი აქვთ წარმოდგენილი პროგრამა განახორციელონ ინგლისურ ენაზე, აუცილებლად დაჭირდებათ შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის ლექტორების მოწვევა.

-აღსანიშნავია, რომ ნათლად არ იკვეთება შუალედური გამოცდის საათები სალექციო საათების დროს ემთხვევა თუ დამატებით არის გათვალისწინებული, ასევე, რამდენი საათი ეთმობა. სასურველია, ამ მხრივ გადაიხედოს სილაბუსები.

-რეკომენდაციის სახით, საჭირო იქნება წიგნადი და ელექტრონული ფონდის შევსება უმაღლესი განათლების სფეროს შესაბამისი ლიტერატურით. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორება უკვე დაგეგმილია. კერძოდ, ტემპუსის პროგრამის MAHATMA ფარგლებში იგეგმება სასწავლო ლიტერატურის შესყიდვა უმაღლესი განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლის შესყიდვის შემდეგ პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ რიდერებს საკუთარი კურსებისათვის და ამით საკუთარ კურსებსა და მთლიანად პროგრამას უფრო მიზანმიმართულს გახდიან მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შესასყიდი ლიტერატურის სია.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა მომზადდა ტემპუსის MAHATMA პროექტის ფარგლებში, რომელშიც რამდენიმე უნივერსიტეტი იყო ჩართული, ამდენად, პროექტზე მუშაობა დაიწყო ტემპუსის პროექტის ჯგუფმა, მათი მოსაზრებით, რეფორმა ვერ განხორციელდებოდა წარმატებით, განათლების მენეჯერების ჩართულობის გარეშე, ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალი კადრების მომზადება.

წარმომადგენლის თქმით, მუშაობისას ჩამოყალიბებულმა გუნდმა პროგრამის პირველი ვერსია შექმნა, რომელიც გაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტებთან. პირველი შეფასება პროგრამამ სწორედ ბოლონიის ექსპერტებისგან მიიღო. წარმომადგენლის თქმით, მაქსიმალურად შეეცადნენ თანხვედრილი ყოფილიყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურა ითვალისწინებდა მიმართულების შეცვლას. პროგრამაზე სწავლის სურვილს, მათი მოსაზრებით, გამოხატავდა სხვადასხვა საბაკალავრო განათლების პირი, რომელიც უკვე მუშაობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ფინანსური მენეჯმენტის სილაბუსთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შესაბამისი შესწორებები შეიტანა უკვე. გარკვეული საკითხები სილაბუსებში მართლაც იყო ზოგადი განათლების პროფილის, ხოლო რიგი საკითხებისა - ზუსტად ამ მიმართლების.

უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხების პროგრამაში გათვალისწინებასთან დაკავშრებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკის კურსი არ ჰქონდათ ამ ეტაპზე, მაგრამ სასწავლო კურსი „განათლების სისტემა, განათლების სამართალი" მოიცავდა შესაბამის საკითხებს იმ დონეზით, რაც საჭირო იყო ამ დონის სპეციალისტებისათვის.

პროგრამით გათალისწინებული ლიტერატურის უმაღლესი განათლების სფეროსათვის მისადაგებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცდილობდნენ ერთი სახელმძღვანელო არ ჰქონოდათ სიულაბსუსში გათვალისწინებული, რაც არ იქნებოდა წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში, ამდენად, პირველ ეტაპზე სილაბუსებში მიუთითეს ლიტერატურა, რომელიც ჰქონდათ, გარდა ამისა, ექსპერტებს წარუდგინეს სია, ხარჯთაღრიცხვა, დოკუმენტაცია შემომტანი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ადასტურებდა 10 000 ლარის ოდენობით ლიტერატურის შეძენის სურვილს.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგნები გათვალისწინებული ჰოქნდათ იმდაგვარად, რომ ერთერთი კურსი ეხებოდა მონაცემების მათემატიკურ დამუშავებას, ასევე, შეიძლებოდა კურსში სტატისტიკის საკითხის შეტანაც, რაც გადაწყვეტდა ამ პრობლემას. დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციისთვის.

პროგრამის სწავლების ენასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროექტი, რომლის ფარგლებშიც პროგრამა მომზადდა, ავალდებულებდა პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციას ოთხი სტუდენტის მობილობით მიღებას, ამდენად, აუცილებელი იყო შესაბამისი სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე შეთავაზებაც. შესაბამისი მიზნით მოხდა სილაბუსების ინგლისურ ენაზე თარგმნაც, თუმცა, ცენტრში არ წარმოუდგენიათ, ჩათვალეს, რომ აუცილებელი იყო ასეთ შემთხვევაში ინგლისური ენაც მითეთთებინათ სწავლების ენად პროგრამაში და ეს საკითხი ტექნიკური ხასიათის იყო.

ლელა თავდგირიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისთვის. ზრდასრულთა განათლების საკითხებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათმა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება არჩევით სასწავლო კურსებს დამატებოდა შესაბამისი კურსიც, 9300 ევროს ღირებულების აპარატურა და ლიტერატურა შემოდიოდა, პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში ლიტერატურის სასკოლო დონესთან შესაბამისობის საკთხებზე წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კულტურულ მრავალფეროვნებათა ჰარმონიზაციის კურსის განმახორციელებელს გაესაუბრნენ და მისი თქმით, შესაბამისი ლიტერატურის გათვალისწინება განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ წიგნი მოიცავდა სფეროსათვის აუცილებელ ტერმინებს.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ მართებულად არ მიაჩნდა პროგრამაში კვლევის მეთოდების წარმოჩენასთან დაკავშირებით მითითების მიცემა, პროგრამა ითვალისწინებდა შესაბამის კურსს და ამასთან, გათვალისწინებული ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომიც, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტის შესაბამის კვალიფიკაციაზე გასვლას. ამდენად, არ თვლიდა, რომ პროგრამას ამ მიმართულებით სრულყოფა ჭირდებოდა. ასევე, სტატისტიკის კურსი, ცხადია, მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, რაოდენობრივი მეთოდების სახით საკითხების სწავლება გათვალისწინებული იყო პროგრამაში.

მისაღები გამოცდების საკითხებთან დაკავშირებით ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ასევე არ მიაჩნდა მართებულად საგამოცდო საკითხების გადახედვა და გაუგებარი იყო ექსპერტის პოზიცია მისთვის. რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობად დაკონკრეტებული არ იყო კონკრეტული ბაკალავრის ხარისხი, ეს ნიშნავდა იმას, რომ არ ჰქონდა კონკრეტული ცოდნის წინაპირობა გათვალისწინებული, ამდენად, თავისი სურვილით შეეძლო გაეთვალისწინებინა ფილოსოფიის, ისტორიის და ა.შ. საკითხები პროგრამაში.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ პროგრამისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ინგლისურ ენაზე მაქსიმალურად აქცენტის გაკეთება, იმისათვის, რომ შესაბამისი დონის სპეციალისტების მომზადება მომხდარიყო და პროგრამა მხოლოდ ბიზნეს ინტერესებზე არ ყოფილიყო დაფუძნებული, ინტეგრაციული პროცესების, ევროკავშირის პრინციპების და ა.შ. პროცესების აღქმისათვის მიზანშეწონილი იყო აქცენტი გაკეთებულიყო აღნიშნულ საკითხებზე, თუ გათვლილი არ ჰქონდათ მხოლოდ ბათუმისთვის კადრების მომზადება.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა, რამდენად ჰქონდათ პროგრამის განმახორციელებლებს შესწავლილი დასაქმების ბაზარი, რა რაოდენობით სტუდენტის მიღებას აპირებდნენ პროგრამაზე, რამდენად უზრუნველყოფილები იქნებოდნენ სამომავლოდ ეს სტუდენტები სამსახურით. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ასევე გაეცნო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსს, მისი მოსაზრებით, აქ სამაგისტრო

ნაშრომის კომპეტენციები აღნიშნული არ იყო. ასევე, მისთვის საინტერესო იყო, როგორ ხდებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, ფასდებოდა თუ არა სტუდენტი ერთჯერადად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნაშრომის მომზადების პროცესში ხელმძღვანელი თვალს ადევნებდა მაგისტრანტს, იმართებოდა კონსულტაციები, თუმცა, შეფასებას სტუდენტი ერთიანად იღებდა.

ირაკლი მაჩაბელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტს, რომ ნაკლებად იკვეთებოდა პროგრამიდან უმაღლესი განათლების სპეციფიკა, მისი მოსაზრებით, მართლაც, თითქმის არ იყო აქცენტი გაკეთებული ბოლონიის პროცესზე, ლისაბონის კონვენციაზე, სორბონის დეკლარაციაზე, ასევე იყო მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც უმჯობესი იქნებოდა, სათანადოდ ყოფილიყო წარმოჩენილი პროგრამაში. ასევე, მისი თქმით, ბევრ სილაბუსში რომელიც ნახა, საკონტაქტო საათების დათვლისას იყო საგამოცდო საათები, რომელიც ასახული არ იყო არც საკონტაქტო და არც საშუალედო გამოცდების საათები, ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გადაანგარიშებული კრედიტებსი, მაგალითად, ხარისხის მართვის სილაბუსში.

ასევე, მისი თქმით, საერთოდ არ არსებობდა საქართველოში აკადემიური დოქტორის ხარისხი, მითითებული უნდა ყოფილიყო დოქტორის აკადემიური ხარისხი.

გარდა აღნიშნულისა, დასკვნის უნარი, რომელიც ჩამოყალიბებულიყო პროგრამაში, უფრო მეტად შეესაბამებოდა საბაკალავრო საფეხურის დონეს. ასევე, უფრო მაღალი მოთხოვნები წაეყენებოდა კომუნიკაციის უნარის ფორმულირებისას სამაგისტრო პროგრამას. საბჭოს წევრმა ასევე გაამახვილა ყურადღება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გათვალისწინებული არ ყოფილა უცხო ენა, მაშინ, როდესაც ლიტერატურა შესაბამის ენაზე მითითებული იყო პროგრამაში.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დიდაქტიკის სილაბუსი მოიცავდა შესაბამის საკთხებს, ასევე, განათლების სისტემებსა და სამართალში განათლების პოლიტიკის საკითხებიც ასევე შედიოდა, ამდენად, როდესაც სილაბუსები დეტალურად შეისწავლეს, აღმოჩნდა, რომ გადაფარვა ხდებოდა, წარმოდგენილი იყო მსგავსი საკითხები და შეეცვადნენ რომ შეეცვალათ შესაბამისი თემები.

6. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0906
კრედიტების რაოდენობა	240

7. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0906
კრედიტების რაოდენობა	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია წარადგინა ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ რომელმაც აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მსგავსი იყო ორივე პროგრამისათვის, ამდენად, ერთად წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს გამოეგზავნა ვიზიტის შემდგომ გასწორებული დოკუმენტები, რომელსაც გაეცნენ, თუმცა, ვიზიტის შემდგომ გასწორებულ დოკუმენტაციას საბჭო არ განიხილავდა, ეს იყო საბჭოს პოზიცია.

ექსპერტმა წაიკითხა რეკომენდაციები დასკვნიდან:

- რიგ სილაბუსებში (ნევროლოგია, ორთოპედიული რეაბილიტაცია, გერიატრიულ პაციენტთა რეაბილიტაცია და სხვა) დასახვეწია კომპეტენციები (კომუნიკაციის უნარი), სადაც მითითებულია რომ სტუდენტი შეძლებს ,,ქართულ ენაზე კომუნიკაციას არსებულ თემებზე და წერილობითი ნაშრომის მომზადებას", რისი მიღწევაც შეუძლებელია ამ კურსის და ზოგადად პროგრამის ფარგლებში.
- რამოდენიმე სილაბუსში დასახვეწია მიზნები და შესაბამისობაშია მოსაყვანია თემატიკა, კერძოდ: ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები" რომლის შინაარსი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მიზანთან და სწავლის შედეგებთან, სასურველია ასევე კურსის დასახელება შეესაბამებოდეს მიზანს;

„ფიზიოთერაპიის" სასწავლო კურსის მიზანი ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული და ამ უზუსტობის გამო თემატიკის შესაბამისობა მიზანთან ვერ დგინდება;

„ორთოპედიული რეაბილიტაციის (ზოგადი)" სასწავლო კურსში არ არის თემატიკა, რომელიც მიზანშია ასახული, კერძოდ ის საკითხები, რომელიც სტუდენტს აძლევს ,,ცოდნას რეაბილიტაციაში ჩართული მრავალპროფილური გუნდის შესახებ და ამ გუნდში ფიზიოთერაპევტის როლის და მოვალეობების შესახებ", ამავე დროს სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკაში შეტანილია ,,რეაბილიტაციის თავისებურებანი სიმსუქნის დროს" და „სიმსუქნე -არასწორი კვებისა და ცხოვრების რეჟიმის შედეგი", რაც სასწავლო კურსის მიზანს არ ემსახურება;

სასურველია ,,ორთოპედიული რეაბილიტაციის (კერძო)" კურსში შეტანილი იქნას ის საკითხები (მაგალითად მენჯ-ბარძაყის და ხერხემლის დაავადებების რეაბილიტაციის შესახებ) რომლების

შესწავლაც აუცილებელია სასწავლო კურსის შედეგების და მიზნის მისაღწევად. ამ სასწავლო კურსში შეტანილია თემა ,,სპორტში დაბრუნება", რაც არ ემსახურება კურსის მიზანს და შედეგს. აღნიშნული თემა სავსებით შესაძლებელია გადავიდეს სასწავლო კურსს ,,ტრავმა და რეაბილიტაციის თავისებურებანი სპორტში" , ამავე სილაბუსიდან თემატიკები: ,,ვარჯიშები გაჭიმვაზე'' (ზოგადი და კერძო ნაწილი) სასურველია გადავიდეს ,,კინეზოთერაპიის" სასწავლო კურსში და გამოთავისუფლებულ საათებში ისწავლებოდეს აუცილებელი თემატიკა;

,,პედიატრიის" სასწავლო კურსში სასურველია შევიდეს საყრდენ-მამაოძრავებელი სისტემის პათოლოგიები, რაც ასევე აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნნის და სწავლის შედეგების მისაღწევად.

- სასურველია გასწორდეს ასევე პროგრამის პრაქტიკის კურსის წინაპირობები, რომლითაც გათვალისწინებულია I-VIII სემესტრის ჩათვლით პროგრამის ყველა კლინიკური და პროფილური სასწავლო კურსი.
- სასურველია ნათლად ჩამოყალიბდეს პრეზენტაციის და სემინარების შეფასების კრიტერიუმები რიგ სილაბუსებში (მაგ. რეაბილიტაცია მეანობასა და გინეკოლოგიაში, პედიატრია, ოკუპაციური თერაპია და სხვა).
- სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის რეკომენდირებულია მიკროსკოპების რაოდენობის გაზრდა;
- იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს არ ჩაუტარებია, რაიმე კრიტერიუმების შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი კურსის ინგლისურ ენაზე წაკითხვის კომპეტენციის შეფასება, აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული პირების ენობრივი კომპეტენციების დადასტურება გამჭვირვალე პროცედურის მეშვეობით;
- განმახორციელებელი პირების სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციის დასადასტურებლად მოწესრიგდეს პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია (საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები);
- კანონმდებლობის თანახმად ტერმინი „მოწვეული პროფესორი" უნდა შეიცვალოს ტერმინად - ლექტორი, ან მასწავლებელი;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს ,,რადიოლოგიის" სასწავლო კურსი, რომლის ბაზისური ცოდნა აუცილებელია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა და აღმოჩნდა რომ პროგრამა თურქეთში განსაკუთრებით მოთხოვნადი იყო და დასაქმების დიდი შანსი ჰქონდათ სტუდენტებს.

მისი თქმით, მოიძიეს საქართველოში არსებული რეაბილიტოლოგები და კანონმდებლობით უფლება ჰქონდათ ექიმთან ერთად დაეგეგმათ სასწავლო კურსი. რადგან ჯერ არ არსებობდა შესაბამისი სასწავლო კურსი, საშუალება მისცეს პრაქტიკულად ესწავლათ კურსები: ანატომია, პედიატრია, შინაგან სნეულებანი, 6 სემესტრიდან კი რეაბილიტაციისთვის საჭირო ყველა კურსი.

მისი თქმით, წარმოდგენილი პროგრამა არ გავდა საქართველოში არსებულ არცერთ ანალოგს, გაფორმებული იყო მემორანდუმები და ყველა სპეციფიკის და თავისებურების გათვალისწინებით, ყველა დამსაქმებელი ვალდებულებას იღებდა დაესაქმებინა საუკეთესო სტუდენტი.

წარმომადგენელმა არ გაიზიარა რეკომენდაცია პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით, მისი თქმით, წინაპირობებში აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იყო.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამისათვის აპირებდნენ მიკროსკოპების შეძენას. პროფესორების უცხოენის ფლობის დონესთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სტანდარტით გათვალისწინებული ყველა კომპეტენცია უდასტურდებათ, არ მოუთხოვია უშუალოდ სერტიფიკატები, თუმცა, სხვადასხვა სახით დასტურდებოდა მათი კომპეტენცია, ხოლო ვინც ვერ ფლობდა ენას სათანადოდ, ენის ცენტრში უფასოდ ემსახურებოდნენ.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა, განცხადება, რაც გაკეთდა დაწესებულების მხრიდან, კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე, მხოლოდ ქართველებს ეხებოდა თუ ასევე ვრცელდებოდა უცხოელებზეც. წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ აღნიშნული ყველას შეეხებოდა.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ინგლისური ენის კომპეტენცია ყველაზე უკეთ შეიძლებოდა საცდელი ლექციით შემოწმებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ ვერცერთი ლექტორი ვერ შევიდოდა ლექციაზე, ვიდრე არ ჩაატარებდა ლექცია-პრეზენტაციას.

8. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფარმაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0903
კრედიტების რაოდენობა	240

9. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ფარმაცია (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის ბაკალავრი
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0903
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ნატო ალავიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რიგი სილაბუსებისა იყო გამჭოლი წარმოდგენილი დაწესებულების უკვე განხილული პროგრამასთან, ამდენად, საკთხებზე, რომლებიც გამოიკვეთა წინა საკითხის განხილვის დროს, აღარ შეჩერდებოდა. ასევე, მისი თქმით, იყო ტექნიკური საკითხები, რომელზეც ყურადღებას აღარ გაამახვილებდა, რადგან მათ არ შეიძლებოდა გავლენა ჰქონოდა საერთო შედეგზე.

- რიგ სილაბუსებში (ნევროლოგია, ორთოპედიული რეაბილიტაცია, გერიატრიულ პაციენტთა რეაბილიტაცია და სხვა) დასახვეწია კომპეტენციები (კომუნიკაციის უნარი), სადაც მითითებულია რომ სტუდენტი შეძლებს ,, ქართულ ენაზე კომუნიკაციას არსებულ თემებზე და წერილობითი ნაშრომის მომზადებას", რისი მიღწევაც შეუძლებელია ამ კურსის და ზოგადად პროგრამის ფარგლებში.
- რამოდენიმე სილაბუსში დასახვეწია მიზნები და შესაბამიობაში მოსაყვანია თემატიკა, კერძოდ:
- ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები" რომლის შინაარსი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მიზანთან და სწავლის შედეგებთან, სასურველია ასევე კურსის დასახელება შეესაბამებოდეს მიზანს.
- ,,ფიზიოთერაპიის" სასწავლო კურსის მიზანი ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული და ამ უზუსტობის გამო თემატიკის შესაბამისობა მიზანთან ვერ დგინდება.
  - ,,ორთოპედიული რეაბილიტაციის (ზოგადი)" სასწავლო კურსში არ არის თემატიკა, რომელიც მიზანშია ასახული , კერძოდ ის საკითხები, რომელიც სტუდენტს აძლევს ,, ცოდნას რეაბილიტაციაში ჩართული მრავალპროფილური გუნდის შესახებ და ამ გუნდში ფიზიოთერაპევტის როლის და მოვალეობების შესახებ", ამავე დროს სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკაში შეტანილია ,, რეაბილიტაციის თავისებურებანი სიმსუქნის დროს" და „სიმსუქნე - არასწორი კვებისა და ცხოვრების რეჟიმის შედეგი", რაც სასწავლო კურსის მიზანს არ ემსახურება.
- სასურველია ,,ორთოპედიული რეაბილიტაციის (კერძო)" კურსში შეტანილი იქნას ის საკითხები (მაგალითად მენჯ-ბარძყის და ხერხემლის დაავადებების რეაბილიტაციის შესახებ) რომლების შესწავლაც აუცილებელია სასწავლო კურსის შედეგების და მიზნის მისაღწევად . ამ სასწავლო კურსში შეტანილია თემა ,,სპორტში დაბრუნება", რაც არ ემსახურება კურსის მიზანს და

შედეგს. აღნიშნული თემა სავსებით შესაძლებელია გადავიდეს სასწავლო კურსს ,,ტრავმა და რეაბილიტაციის თავისებურებანი სპორტში“ , ამავე სილაბუსიდან თემატიკები: ,, ვარჯიშები გაჭიმვაზე'' (ზოგადი და კერძო ნაწილი) სასურველია გადავიდეს ,,კინეზოთერაპიის“ სასწავლო კურსში და გამოთავისუფლებულ საათებში ისწავლებოდეს აუცილებელი თემატიკა.

- ,,პედიატრიის“ სასწავლო კურსში სასურველია შევიდეს საყრდენ-მამაოძრავებელი სისტემის პათოლოგიები, რაც ასევე აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნნის და სწავლის შედეგების მისაღწევად.
- სასურველია გასწორდეს ასევე პროგრამის პრაქტიკის კურსის წინაპირობები, რომლითაც გათვალისწინებულია I-VIII სემესტრის ჩათვლით პროგრამის ყველა კლინიკური და პროფილური სასწავლო კურსი.
- სასურველია ნათლად ჩამოყალიბდეს პრეზენტაციის და სემინარების შეფასების კრიტერიუმები რიგ სილაბუსებში (მაგ. რეაბილიტაცია მეანობასა და გინეკოლოგიაში, პედიატრია, ოკუპაციური თერაპია და სხვა).
- სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის რეკომენდირებულია მიკროსკოპების რაოდენობის გაზრდა.
- იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს არ ჩაუტარებია, რაიმე კრიტერიუმების შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მიერ შესაბამისი კურსის ინგლისურ ენაზე წაკითხვის კომპეტენციის შეფასება, აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამაში ჩართული პირების ენობრივი კომპეტენციების დადასტურება გამჭვირვალე პროცედურის მეშვეობით.
- განმახორციელებელი პირების სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციის დასადასტურებლად მოწესრიგდეს პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაცია (საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები)
- კანონმდებლობის თანახმად ტერმინი „მოწვეული პროფესორი“ უნდა შეიცვალოს ტერმინად - ლექტორი, ან მასწავლებელი.
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამაში შევიდეს ,,რადიოლოგიის“ სასწავლო კურსი, რომლის ბაზისური ცოდნა აუცილებელია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უცხოელების მხრიდან პროგრამაზე მოხვედრის მოთხოვნა არსებობდა, შესწავლილი ჰოქნდათ ბაზარი, ამდენად, აქცენტი ამ მიზეზით იქნა გაკეთბული მათზე. საზოგადოებრივი ჯანდაცდვისა და საინფორმაციო სისტემების სასწავლო კურსთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საგანს კითხულობდა მედეა თევდორაძე, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, მოიწვიეს ადამიანი, რომელსაც საზღვარგარეთ ჰქონდა განათლება მიღებული.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე ქართველსაც ჰქონდა ჩაბარების შესაძლებლობა. პროგრამაზე, მისი თქმით, ასევე ისწავლებოდა ქართული ენაც, რომელის პედაგოგიც ექსპერტთა ჯგუფსაც გააცნო წარმომადგენელმა. მესამე სემესტრის სტუდენტები კარგად მეტყველებდნენ ქართულ ენაზე, ამდენად, დაწესებულება ენის სწავლებას უზრუნველყოფდა, თუმცა, თუ გაფართოვდებოდნენ, კონტინგენტის ზრდასთან ერთად აუცილებლად მოიწვევდნენ სხვა სპეციალისტებსაც.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ჰქონდათ თავისუფალი კრედიტების არჩევის შესაძლებლობაც, თუმცა, სამომავლოდ გეგმავდნენ უფრო მეტი კურსის შეთავაზებას ამ მიმართულებით.

უცხო ექვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით წარმომადგენლემა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხასიათს უზუსტობა იყო, რომელსაც სამომავლოდ დააღწვდნენ თავს, რადგან ჩანაწერში მიუთთეს მხოლოდდამხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა საგანმანათლებლო დაწესებულების დათვალიერების შესაძლებლობას იძლეოდა, მეტნაკლებად წარმოდგენა იქმნებოდა ადმინისტრაციის მართვის

მეთოდების შესახებ. მისასალმებელი იყო ის ფატი, რომ დაწესებულებას პროგრამით 140 კრედიტიანი მოდული ჰქონდა შეთავაზებული.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 247 კრედიტის პროგრამაში გათვალისწინება ადასტურებდა, რომ ფინანსურად წამგებიანი პოზიცია ჰქონდა დაწესებულებას, მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის კანცლერს, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობდა ჩანაფიქრის განხორციელებაში პროფესორის მიღწევებთან, ხელფასების განსაზღვრასთან, ბაზის განვითარებასთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ იყო, დასაწყისში ორ სართულზე ახორციელებდნენ სწავლებას, დღეისათვის კი ორი საკუთარი შენობა ჰქონდათ.

მაია ჩიხლაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით მხოლოდ სამ ორგანიზაციასთან ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმი, თუმცა, შესაძლებლობა ჰქონდათ უფრო დიდ სააფთიაქო ქსელებთანაც ეთანამშრომლათ. საბჭოს წვერი დაინტერესდა, რატომ არ აფართოებდნენ ამ მიმართულებით თანამშრონმლობას.

დაწესებულების წარმოომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი შესაბამისი პროფესიული მეხუთე საფეხურის პროგრამის სტუდენტები საკმაოდ წარმატებულად გადიოდნენ პრაქტიკას შესაბამის ობიექტებზე. მისი თქმით, ცოტა აფთიაქი იყო დარჩენილი სადაც ტექნოლოგიებით წამლებს ამზადებდნენ, ამდენად, სტუდენტების სააფთიაქო პრაქტიკა მხოლოდ გაყიდვებს მოიცავდა, რაც მათთვის არ იქნებოდა პროდუქტიული, მათი სურვილი იყო სტუდენტებს თავად ეწარმოებინათ პრეპარატები, სწორედ ამ ნიშნით იქნა შერჩეული აფთაქები, სადაც სტუდეტები გადიოდნენ პრაქტიკას.

მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ მიდგომა სწორი იყო, თუმცა, ამ მიმართულებით თანამშრონლობის გაფართოება ხელს შეუწყობდა სტუდენტებს შემდგომ დასაქმებაში.

19:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 19:25 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის (ინგლისურენოვან) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო (ინგლისურენოვან) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0).

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი მაჩაბელი / მაია ჩიხლაძე

მდივანი
მაია ჩიხლაძე / ნანა გაფრინდაშვილი